ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 379

22 ნოემბერი
"---" -------- 2019 ⁄

ქ. თბილისი

„თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების და „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ნოემბრის №19.1208.1541 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში **490 390,000 (ოთხას ოთხმოცდაათი მილიონ სამას ოთხმოცდაათი ათასი)** ევროს ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**